ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ო ქ მ ი №01-06/01

დაბა ქედა, **30 იანვარი, 2026 წელი.**

სხდომა დაიწყო: 12:00 საათზე.
სხდომა დამთავრდა: 13:00 საათზე.

საკრებულოს სხდომას სიითი შემადგენლობის 24 წევრიდან ესწრებოდა 21.
სხდომას თავმჯდომარეობდა ამირან ცინცაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.
სხდომას ესწრებოდნენ:
რომან დავითაძე - საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;
არჩილ გორგილაძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
რეზო თურმანიძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ამირან წულუკიძე - საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;
ნაზიმ ჩხეიძე - სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ამირან დევაძე - საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ბერიძე - საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე;
მერაბ ნაკაშიძე - საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ვერძაძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარე;
თენგიზ ყადიძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ხალხის ძალა"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მარინა ბარამიძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მამუკა გოგოლიშვილი - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ზვიად არძენაძე -საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ანზორ გოგიაშვილი-საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მერაბ ტაკიძე-საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
არკადი საკანდელიძე-საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მზია ბოლქვაძე - საკრებულოს წევრი;
რამაზ ალიქაძე-საკრებულოს წევრი;
მურად დიასამიძე-საკრებულოს წევრი;
გივი ლორთქიფანიძე-საკრებულოს წევრი.

სხდომას არ ესწრებოდნენ:
რამაზ თავდგირიძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ხალხის ძალა"-ს თავმჯდომარე;
დურმიშხან შავიშვილი-საკრებულოს წევრი;
ჯამბულ შარაბიძე-საკრებულოს წევრი;

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
მუხრან სალაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი;
ნონა თებიძე - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/01 მორიგი სხდომა

საკრებულოს წევრების სარეგისტრაციო ფურცელი

30 იანვარი, 2026 წელი

#	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ამირან ცინცაძე	საკრებულოს თავმჯდომარე	
2	რომან დავითაძე	თავმჯდომარის პირველი მოადგილე	
3	რეზო თურმანიძე	თავმჯდომარის მოადგილე	
4	არჩილ გორგილაძე	თავმჯდომარის მოადგილე	
5	ამირან დევაძე	კომისიის თავმჯდომარე	
6	ამირან წულუკიძე	კომისიის თავმჯდომარე	
7	ნაზიმ ჩხეიძე	კომისიის თავმჯდომარე	
8	ლევან ბერიძე	კომისიის თავმჯდომარე	
9	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის თავმჯდომარე	
10	ლევან ვერძაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
11	რამაზ თავდგირიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
12	მარინა ბარამიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
13	მამუკა გოგოლიშვილი	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
14	მერაბ ტაკიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
15	ანზორ გოგიაშვილი	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
16	არკადი საკანდელიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
17	ზვიად არძენაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
18	თენგიზ ყადიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
19	მზია ბოლქვაძე	საკრებულოს წევრი	
20	დურმიშხან შავიშვილი	საკრებულოს წევრი	
21	მურად დიასამიძე	საკრებულოს წევრი	
22	გივი ლორთქიფანიძე	საკრებულოს წევრი	
23	რამაზ ალიქაძე	საკრებულოს წევრი	
24	ჯამბულ შარაბიძე	საკრებულოს წევრი	

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ სხდომაზე დამსწრეთ წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 30 იანვრის №01-06/01 მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

1. „„ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ამირან დევაძე

2. „სსიპ სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტო“-სთვის ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, ვადით, უსასყიდლოდ, უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე, ქედის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსის მ/შ: გულადი წითელაძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე: მერაბ ნაკაშიძე

3. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის მიერ 2025 წელს პროგრამების შესრულების შესახებ ანგარიში.

მომხსენებელი: მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი: ეკატერინე ქაჯაია-კომახიძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: ნაზიმ ჩხეიძე

4. ა(ა)იპ „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება“-ს მიერ 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში.

მომხსენებელი: ა(ა)იპ „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება“-ს

დირექტორი: აიშე თებიძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: ნაზიმ ჩხეიძე

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 21
წინააღმდეგი - 0

დამტკიცდეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 30 იანვრის №01-06/01 მორიგი სხდომის დღის წესრიგი პროექტი.

1. მოისმინეს: „„ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ ამირან დევაძემ საკრებულოს სხდომაზე წარადგინა „„ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი: №12-95260281-95, 28.01.2026 წელი) და განმარტა, რომ საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებას ახორციელებს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია. დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრების წარდგენა შეუძლიათ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობის გამოქვეყნებიდან 2026 წლის 24 თებერვალს დღის 18:00 საათამდე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიაში.

განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომა შედგება 2026 წლის 25 თებერვალს დღის 12:00 საათზე, ხოლო აქტის გამოცემის თარიღად განსაზღვრულია 2026 წლის 27 თებერვალი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 21
წინააღმდეგი - 0
დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

(განკარგულება N:გ-95.95260303; 30.01.2026 წელი).

2 . მოისმინეს: „სსიპ სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტო“-სთვის ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, ვადით, უსასყიდლოდ, უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე, ქედის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელმა მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსის მ/შ გულად წითელაძემ საკრებულოს სხდომაზე წარადგინა „სსიპ სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტო“-სთვის ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, ვადით, უსასყიდლოდ, უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე, ქედის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ (წერილის ნომერი: №12-95260291-95, 29.02.2026 წელი) და განმარტა, რომ ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანია ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების გადაცემაზე თანხმობის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის მიღება. რომელის

მიღებაც უზრუნველყოფს ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ ქონების გადაცემის პროცედურების სამართლებრივ რეგულაციებს.

კერძოდ, წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის ძირითად არს წარმოადგენს ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება - დაბა ქედა 26 მაისის ქ.№2-ში მდებარე შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე არსებული ორი ერთეული უძრავი ქონება 78,20 კვ. მ. საოფისე ფართი (ს/კ 21.03.35.008.01.507 არსებული ფართი 61,10 კვ. მეტრი და ს/კ 21.03.35.008.01.504 არსებული ფართი 17,10 კვ. მეტრი), რომლის საბალანსო ღირებულება შეადგენს 31 302,37 (ოცდა თერთმეტი ათას სამას ორი ლარი და ოცდა ჩვიდმეტი თეთრი) ლარს და ლიკვიდირებული ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის ბალანსზე აღრიცხული მოძრავი ქონების თანდართული დანართის N1-ის შესაბამისად, რომელთა საერთო საბალანსო ღირებულება შეადგენს 7518,76 (შვიდი ათას ხუთას თვრამეტი ლარი და სამოცდათექვსმეტი თეთრი) ლარს, სსიპ სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტო"-ზე პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, 2027 წლის 01 იანვრამდე, უსასყიდლოდ უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემა, რათა ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ განახორციელოს აღნიშნული ქონების სსიპ „სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტო"-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემის შესახებ შესაბამისი ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტის (ბრძანება) მომზადება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 21
წინააღმდეგი - 0
დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

(განკარგულება N:გ-95.95260304; 30.01.2026 წელი).

3. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის მიერ 2025 წელს პროგრამების შესრულების შესახებ ანგარიში.

მომხსენებელმა საკრებულოს მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსმა ეკატერინე ქაჯაია-კომახიძე საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის მიერ 2025 წელს პროგრამების შესრულების შესახებ ანგარიში (წერილის ნომერი: №12-95260223-95, 22.01.2026 წელი) დანართის ერთად საკრებულოს მორიგ სხდომაზე დასამტკიცებლად.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 21
წინააღმდეგი - 0
დაადგინეს: დადებითად იქნა შეფასებული ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის მიერ 2025 წელს პროგრამების შესრულების შესახებ ანგარიში.

(განკარგულება N:გ-95.95260302; 30.01.2026 წელი).

4. მოისმინეს: ა(ა)იპ „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება“-ს მიერ 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში.

მომხსენებელმა ა(ა)იპ „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება“-ს დირექტორმა აიშე თებიძემ საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ა(ა)იპ „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება“-ს მიერ 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში (წერილის ნომერი: №10/95260212-95, 21.01.2026 წელი) დანართის ერთად საკრებულოს მორიგ სხდომაზე დასამტკიცებლად.

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ მადლობა გადაუხადა ანგარიშის წარდგენისათვის და ნაყოფიერი სამუშაო წელი უსურვა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 21
წინააღმდეგი - 0
დაადგინეს: დადებითად იქნას შეფასებული ა(ა)იპ „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება“-ს მიერ 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში.

(განკარგულება N:გ-95.95260301; 30.01.2026 წელი).

შემდეგ სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ 13:00 საათზე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: **ამირან ცინცაძე**

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი
სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში **ნონა თებიძე**